საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ანტიკორუფციული ქცევის კოდექსი

თბილისი

2026

პრეამბულა/შესავალი

საქართველოს კონკურენციისა და მომხარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრემიერ მინისტრისა და საზოგადოების წინაშე.

სააგენტო წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

ამასთან, სააგენტო წარმოადგენს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონების აღმასრულებელ ორგანოსაც, რომლის მიზანიც მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობაა.

დამატებით, სააგენტო „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვას. სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებით, კანონით, სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სააგენტოსთვის დაკისრებული პასუხისმგებლობიდან და მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამსახურეობრივ საქმიანობაში ეთიკური სტანდარტების დაცვა. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ანტიკორუფციული ქცევის კოდექსის (შემდგომში - ქცევის კოდექსი) არსებობა, რომელიც შემუშავებულია ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება სააგენტოში დასაქმებულ პირთა ქცევის წესები, სტანდარტები და ის

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას. ქცევის კოდექსი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობისა და ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერებისთვის.

სააგენტო იზიარებს კორუფციის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულ მიდგომებსა და მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტების შემოღებას, კორუფციის პრევენციისა და საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად. ქცევის კოდექსი წარმოადგენს ანტიკორუფციული პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს სააგენტოში პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებას, ქმნის უსაფრთხო და არადისკრიმინაციულ სამუშაო გარემოს, ხელს უწყობს არასათანადო ქცევის პრევენციასა და მართვას, იცავს ორგანიზაციის რეპუტაციას და ქმნის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ სამუშაო გარემოს.

სამართლებრივი ჩარჩო

ქცევის კოდექსი შედგენილია, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, იგი ეფუძნება შემდეგ ნორმატიულ აქტებსა და დოკუმენტებს:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
3. საქართველოს კანონი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
4. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
5. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ
6. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N 200 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“
7. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია
8. კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია (United Nations Convention against Corruption - UNCAC)
9. ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე
10. ევროპის საბჭოს სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე

11. OECD-ის მექრთამეობის საწინააღმდეგო კონვენცია

თავი I. ქცევის კოდექსის მიზნები, ამოცანები, მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტებები

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

1. დოკუმენტის მიზანია სააგენტოში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების მიღება.

2. ქცევის კოდექსი ადგენს სააგენტოში დასაქმებული პირებისთვის პროფესიული ქცევის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ძირითად საფუძვლებს, რომლის მიზანია თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მისი ქცევის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება.

3. ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება კანონის უზენაესობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.

4. ქცევის კოდექსის ამოცანებია:

ა) არსებობის შემთხვევაში შესაძლო კორუფციული ქმედების გამოვლენა, მისი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავება და გაძლიერება.

ბ) სააგენტოში კეთილსინდისიერების, ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცება.

გ) კორუფციული ფაქტების პრევენცია კორუფციული რისკების შემცირების გზით.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

ქცევის კოდექსი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და ვრცელდება სააგენტოს ყველა თანამშრომელზე, ასევე, სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მამხილებელი - სააგენტოში დასაქმებული ნებისმიერი პირი, რომელიც ასაჯაროებს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას კორუფციული, უკანონო, არაეთიკური ან დაუშვებელი ქმედების შესახებ.

ბ) ინტერესთა შეუთავსებლობა - თანამშრომლის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან.

გ) კორუფცია - თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა (მაგალითად: ქრთამი, ნეპოტიზმი, საჩუქრის მიღება, გაფლანგვა, გამოძალვა და სხვ.)

დ) ოჯახის წევრი - პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

ე) მამხილებლის ახლო ნათესავი – მამხილებლის მშობელი, მშვილებელი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მამხილებელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

ვ) მხილება – პირის (მამხილებლის) მიერ უფლებამოსილი პირის ინფორმირება ამ კოდექსის მე-15-24-ე მუხლების დარღვევის შესახებ, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან სააგენტოს რეპუტაციას.

ზ) უფლებამოსილი პირი – ქცევის კოდექსის იმპლემენტაციასა და მისი შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი პირი - სააგენტოს აუდიტორი.

თ) იძულებითი ზომები – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შინაგანაწესითა და ამ კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

თავი II. ძირითადი პრინციპები

მუხლი 4. ძირითადი პრინციპები

1. სააგენტო აცხადებს უკომპრომისო მიდგომას კორუფციის ნებისმიერი ფორმის მიმართ.

2. სააგენტოს თანამშრომელმა ორგანიზაციის ინტერესები უნდა დააყენოს პირად ინტერესებზე მაღლა და ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ქცევის განვითარებას, რომელიც არ დააზიანებს სააგენტოს ავტორიტეტსა და რეპუტაციას.

3. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება.

მუხლი 5. კანონის უზენაესობა

ეფექტიანი და სრულყოფილი ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაცული უნდა იყოს ადამიანის საყოველთაო უფლებები და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.

მუხლი 6. გამჭირვალობა

სააგენტოს საქმიანობის, მიზნების და ამოცანების შესახებ, ასევე თანამშრომლების საქმიანობისა და სააგენტოს ფინანსების შესახებ ინფორმაცია არის ღია, ხოლო სააგენტოს მუშაობა გამჭვირვალე, რაც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობასა და დასაბუთებულობას, კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 7. ანგარიშვალდებულება

1. სააგენტო სრულად იცავს ანგარიშვალდებულების პრინციპს და სრულად აცნობიერებს მის მნიშვნელობას უფლებამოსილების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. სააგენტო ადგენს და აქვეყნებს გადაწყვტილებებს, საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს, პროაქტიულ ინფორმაციას, ასევე ბაზრის მონიტორინგისა და ზეგავლენის შეფასების ანგარიშებს.

მუხლი 8. დამოუკიდებლობა

სააგენტოს საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის პრინციპს. თითოეული თანამშრომელი ვალდებულია მოქმედებდეს დამოუკიდებლად, ყოველგვარი გარე ჩარევის, ზეწოლისა და გავლენის გარეშე. თანამშრომელმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა ეჭვს ბადებდეს მისი დამოუკიდებლობის მიმართ.

მუხლი 9. მიუკერძოებლობა

სააგენტოს თანამშრომელი უნდა მოქმედებდეს ყოველგვარი პირადი, პოლიტიკური, ფინანსური ან სხვა ისეთი ინტერესის გარეშე, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს მის პროფესიულ საქმიანობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთ ქმედებების განხორციელებისგან. რომელიც შესაძლოა ეჭვს ბადებდეს მისი მიუკერძოებლობის მიმართ.

მუხლი 10. სამართლიანობა

სააგენტოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია საქმიანობის პროცესში უზრუნველყოს თანასწორი, ობიექტური და სამართლიანი მოპყრობა ყველა პირის მიმართ, დისკრიმინაციის ნიშნების გარეშე. თანამშრომელი ვალდებულია მოქმედებდეს კანონისა და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, არათანაბარი მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 11. კეთილსინდისიერება

სააგენტოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად, მტკიცე მორალური და პროფესიული სტანდარტების, ასევე კანონმდებლობის სრული დაცვითა და საჯარო ინტერესის სრული გათვალისწინებით.

თავი III. კორუფციული რისკის შემცველი სფეროები

მუხლი 12. კორუფციული რისკის შემცველი საქმიანობა

სააგენტოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას, მონიტორინგსა და პრევენციულ ზომებს საჭიროებს შემდეგი საქმიანობის მიმართულებები:

ა) საქმის მოკვლევა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები;

ბ) მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშების შემუშავება;

გ)ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელება;

დ) მომხმარებლის/მომსახურების მიმღების უფლებების დაცვის მიზნით საქმის შესწავლის განხორციელება;

ე) კონცენტრაციებთან დაკავშირებული განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

ვ) სასამართლო დავების წარმოება;

ზ) საქონლისა და მომსახურებების შესყიდვის პროცესები;

თ) კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავება;

ი) კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და გადაყვანის პროცედურები;

კ) საჩივრების, განცხადებების ან კონსულტაციის პროცესში მიღებული მონაცემების დამუშავება;

ლ) დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა;

მ) პროფესიული კომუნიკაცია თანამდებობის პირებსა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან.

მუხლი 13. მოქმედების შეზღუდვა

სააგენტოს თანამშრომელს უფლება არა აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ინტერესების საწინააღმდეგოდ ან სხვა ნებისმიერი ისეთი საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

მუხლი 14. დასაქმებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. სხვა დამსაქმებელთან გადასვლის შემთხვევაში, თანამშრომელს არ აქვს უფლება სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე განახორციელოს საქმიანობა იმ კონკრეტულ სამსახურებრივ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, საქმის მოკვლევა, საქმის შესწავლა, ბაზრის მონიტორინგი და ა.შ), რომელშიც ჩართული იყო სააგენტოში დასაქმების პერიოდში.

2. კონფიდენციალურობის დაცვა სავალდებულოა თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემდეგაც და ვრცელდება წინამდებარე კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სააგენტოში მუშაობის პერიოდში.

3. სააგენტოში თანამშრომლის დასაქმების დროს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კანდიდატის წინა დასაქმების ადგილი და იმ საქმეებში ჩართულობა, რომლებიც მიმდინარეობს სააგენტოში.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV. ზოგადი წესები და აკრძალული ქმედებები

მუხლი 15. ქცევის ზოგადი წესი

სააგენტოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები და სამსახურებრივ მოვალეობას მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად ასრულებდეს.

ბ) იმოქმედოს კოლეგიურობის პრინციპის დაცვით, სამსახურებრივი ვალდებულების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკური ქცევის ზოგადი წესები.

გ) თავიდან აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის რეპუტაციას ან/და სამსახურის რეპუტაციას.

დ) სამსახურებრივი უფლებამოსილება, სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობები, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად.

მუხლი 16. ფასიანი საჩუქრები და სხვა შეღავათები

1. ქცევის კოდექსის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის სააგენტოს თანამშრომლისთვის ან/და მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს ამ კოდექსით განსაზღვრული საერთო წესიდან გამონაკლისს.

2. შეღავათი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც თანამშრომელს ან მის ნათესავებს რაიმე ფორმით უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს. შეღავათი შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური ფორმით გამოხატული. მაგალითად:

- არაფულადი საჩუქრები;
- ე.წ „ჩაის ფული“ (tips);
- სასაჩუქრე ვაუჩერები;
- სადღესასწაულო მოგზაურობები;
- ვახშმის მოსაწვევები;
- ბილეთები;
- მნიშვნელოვანი ფასდაკლებები, რომლებიც აღემატება ჩვეულებრივ არსებულ ფასდაკლებას;
- მომსახურების შეთავაზებები;
- დასაქმების შეთავაზებები;
- შეთავსებით დასაქმების შეთავაზებები;
- მხარდაჭერა განაცხადის/საჩივარში დასმული მოთხოვნების გადაჭრაში;
- ავტომობილების ან საცხოვრებლის უფასო გამოყენება და ა.შ.

3. თანამშრომლის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

4. თანამშრომლის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

5. ქცევის კოდექსის მიზნებისთვის მიღებულ სარგებლად არ მიიჩნევა პირის მიერ ამ კოდექსის მე-18-მე-19 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული სარგებელი, საქართველოს სახელმწიფოს მიერ პირისთვის გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია ან პირის მიერ საკუთრების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი.

მუხლი 17. რეგიონში ან ქვეყანაში გავრცელებული დაბალი ღირებულების სიმბოლური საჩუქრები

1. საჩუქრების მიღების აკრძალვა არ ვრცელდება დაბალი ღირებულების სიმბოლურ ნივთებზე, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება რეგიონში ან ქვეყანაში (მაგ.: კალმები, კალენდრები და წვრილმანი ნივთები და სხვა.).
2. სიმბოლური საჩუქრები ფულის/ჩაის ან ვაუჩერების სახით არასდროს ჩაითვლება ჩვეულებრივ მოვლენად რეგიონში ან ქვეყანაში.

3. ბაზარზე გავრცელებული ფასდაკლებები და შეღავათები, რომლებიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის, ან რომლებიც შემოთავაზებულია დამსაქმებელთან დადებული შეთანხმებების საფუძველზე, გადაცდომად არ მიიჩნევა.

მუხლი 18. საპატიო საჩუქრების მიღება

1. საპატიო საჩუქრები არის სხვა ქვეყნების, საჯარო ხელისუფლების ან სხვადასხვა ტრადიციული ინსტიტუტების მიერ გადაცემული ნივთები მიღწევების, სადღესასწაულო შემთხვევების აღსანიშნავად ან თავაზიანობის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საპატიო საჩუქრის მიღება დასაშვებია დელიკატური სიტუაციების თავიდან არიდების მიზნით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უარის თქმის შემთხვევაში, განსაკუთრებით საერთაშორისო სფეროში.

3. მნიშვნელოვანია, რომ საპატიო საჩუქრის მიღებისას აქცენტი გაკეთდეს ადამიანის პატივისცემის მიზანზე და არა მატერიალურ ღირებულებაზე.

მუხლი 19. შეღავათები ღონისძიებებზე, რომლებშიც თანამშრომელთა მონაწილეობის გამართლებული ოფიციალური ინტერესი არსებობს

1. რეგიონში ან ქვეყანაში გავრცელებული დაბალი ღირებულების სიმბოლური საჩუქრების გარდა, შესაძლოა გარკვეული შეღავათები დაშვებული იყოს ღონისძიებებთან დაკავშირებით (მაგ. კონგრესები, კონფერენციები, სავაჭრო გამოფენები, ტრენინგები და უწყვეტი განათლების კურსები), თუ არსებობს მათში მონაწილეობის ოფიციალური ან სხვაგვარად ობიექტურად გამართლებული ინტერესი.

2. უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს ობიექტური შეფასება იმის შესახებ, არსებობს თუ არა თანამშრომლის ღონისძიებაში მონაწილეობის გამართლებული ოფიციალური ინტერესი. ღონისძიებაზე დასწრების გამართლებული ოფიციალური ინტერესის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელი ინფორმირებული უნდა იყოს თანამშრომლის მონაწილეობის შესახებ. ასევე, როდესაც თანამშრომელი მონაწილეობს ღონისძიებაში, სადაც მისი მონაწილეობის მიმართ არსებობს გამართლებული ოფიციალური ინტერესი, თანამშრომელი ვალდებულია შეაფასოს ღონისძიებაზე შეთავაზებული შეღავათები აკმაყოფილებს თუ არა შემდეგ იგი პირობებს. კერძოდ, შეღავათი/საჩუქარი

- გადაეცა ღონისძიების ფარგლებში ყველა მონაწილეს;
- შეესაბამება მსგავს ღონისძიებებზე ჩვეულებრივ დაფიქსირებულ სტანდარტს;
- უკავშირდება ღონისძიების შინაარსს და
- არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ოფიციალურ ფუნქციასთან, გარდა ღონისძიების შინაარსთან კავშირისა.

მუხლი 20. სპონსორობა

1. საჯარო უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული სპონსორობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობა და შეუძლებელი იყოს მისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა.

2. სპონსორობა არის ფულადი ღირებულების (მატერიალური რესურსების, მომსახურების ან ექსპერტიზის) შემოწირულობა სპონსორის (იურიდიული ან ფიზიკური პირის) მიერ, რომელიც, როგორც წესი, ემსახურება გამართლებულ ეკონომიკურ ინტერესებს საჯარო ფუნქციის ან საჯარო დაწესებულების (არამატერიალური კომპონენტი) საქმიანობის ხელშეწყობასთან ერთად. სპონსორის გამართლებული ეკონომიკური ინტერესები უნდა შეესაბამებოდეს სააგენტოს მიზნებს.

3. სპონსორობა თავიდანვე გამორიცხულია, თუ ის ქმნის გავლენის მოხდენის უმცირეს შთაბეჭდილებასაც კი.

მუხლი 21. გამონაკლისები ფასიანი საჩუქრებიდან

ამ კოდექსის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:
ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;
ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა სააგენტოს თანამშრომელს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;
გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს ან დაწესებულების მიერ სააგენტოს თანამშრომლისთვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;
დ) სააგენტოს თანამშრომლისთვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს ამ კოდექსით განსაზღვრული საერთო წესიდან გამონაკლისს;
ე) სააგენტოს თანამშრომლისთვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;
ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 22. ინტერესთა კონფლიქტი

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი პროფესიული საქმიანობის, შეფასების განხორციელებისას და გადაწყვეტილების მიღებისას მხარეთაგან/დაინტერესებულ მხარეთაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს.

2. თუ სააგენტოს უფლებამოსილ პირსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის მიმართაც სააგენტო საქმის მოკვლევას/შესწავლას ახორციელებს, არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს.

3. სააგენტოს უფლებამოსილი პირი არ უნდა ახორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, მათ შორის სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლობაზე.

4. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს თანამშრომლის პასუხისმგებლობას.

5. პირი, რომლის საქმეც იხილება, უფლებამოსილია აცილება მისცეს სააგენტოს შესაბამის უფლებამოსილ პირს, თუ ეს პირი დაინტერესებულია განსახილველი საკითხით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომლის მიმართ გამოიყენება სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 23. მონაცემთა დამუშავება და კონფიდენციალურობის დაცვა

1. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში თანამშრომელი ვალდებულია დავიცვას კონფიდენციალურობა ყველა იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც გამჟღავნდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქმის შესწავლაზე/მოკვლევის განხორციელებაზე, ასევე, დაარღვიოს მესამე პირის კანონიერი ინტერესები.

2. კონფიდენციალურობის ვალდებულებებს ექვემდებარება, ასევე შიდა პროცესებიდან, მათ შორის, დისკუსიებიდან გამომდინარე გეგმები და იდეები, ინსტრუქციები, რომლებიც ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა და გადაწყვეტილებები ან დოკუმენტები,რომლებიც ჯერ არ არის წარდგენილი.

3. თანამშრომელი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია:

ა) დაიცვას ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის/კონცენტრაციის მხარის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც, სხვა საიდუმლოებებთან ერთად, შეიძლება შეიცავდეს კომერციულ საიდუმლოებას, საბანკო საიდუმლოებას ან/და საგადასახადო საიდუმლოებას;

ბ) დაიცვას იმ პირის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა, რომელიც არის ინფორმაციის მიმწოდებელი და სააგენტოს მიმართავს მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის თხოვნით;

გ) უზრუნველყოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და გაუვრცელებლობა.

4. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა და გავრცელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

5. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის საკითხის განხილვისას სააგენტო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს აღნიშნული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის არაკონფიდენციალური (კონფიდენციალური მონაცემების დაფარვის მიზნით დაშტრიხული) ვერსიის წარდგენა და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა.

6. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33[1] მუხლით გათვალისწინებულ თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე პირის/პირების თაობაზე მონაცემები და აღნიშნული პირის/პირების მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია კონფიდენციალურია სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, საქმის მოკვლევის დასრულების შემდეგ აღნიშნულ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის რეჟიმი.

7. დაუშვებელია სააგენტოში დასაქმებულთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და გავრცელება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

8. სააგენტოს თანამშრომლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა, გავრცელება ან მისი გამოყენება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოიწვევს სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

9. განზოგადებული ინფორმაცია შესაბამისი ბაზრის შესახებ, ასევე მონაცემები ეკონომიკური აგენტების რაოდენობის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების თაობაზე არ შეიძლება კონფიდენციალური იყოს.

მუხლი 24. სოციალური მედიის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

1. თანამშრომელს უფლება არ აქვს გამოიყენოს დამსაქმებლის კუთვნილი სოციალური მედიის პროფილები პირადი მიზნებისთვის.

2. როდესაც თანამშრომელი იყენებს პირად პროფილებს სოციალურ მედიაში, მან არ უნდა შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი პროფილს იყენებს მისი დამსაქმებლის სახელით ან/და მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

თავი V. განხილვის პროცედურა და აღსრულება

მუხლი 25. პასუხისმგებლობა

1. წინამდებარე ქცევის კოდექსით დადგენილი წესების შეუსრულებლობა გამოიწვევს თანამშრომლის პირად პასუხისმგებლობას და მისთვის შემდეგი დისციპლინური სანქციების დაკისრებას სააგენტოს შინაგანაწესის შესაბამისად:
ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით; დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

2. სანქციები უნდა იქნას მიღებული პროპორციულად, მოქმედი სამართლებრივი პროცედურების დაცვით და შესაბამისი თანამშრომლისთვის მოქმედი უფლებებისა და გარანტიების დაცვით. ყოველწლიურად მომზადდება ანგარიშგება განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 26. მხილების ზოგადი პრინციპი

1. მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს მე-15-24-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების დარღვევის თავიდან აცილებას, გამოვლენას ან აღკვეთას ან/და საჯარო ინტერესის დაცვას.

2. მხილება კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

მუხლი 27. თანამშრომლის რეაგირება

1. სააგენტოს თანამშრომელი ამ კოდექსის მე-15-24-ე მუხლების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადებით მიმართავს აუდიტორს, ხოლო 31-ე მუხლით გათვალიწინებულ შემთხვევებში სააგენტოს თავმჯდომარეს ან თავმჯდომარის მოადგილეს.

2. თუ განცხადება წარდგენილია წერილობითი ფორმით იგი უნდა შეიცავდეს:
   ა) მამხილებლის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
   ბ) ფაქტობრივი გარემოების მოკლე აღწერას;
   გ) შესაბამის მტკიცებულებას (არსებობის შემთხვევაში);
   დ) მამხილებლის ხელმოწერას;
   ე) თარიღს.

3. თუ სააგენტოს თანამშრომელი ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ ამ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კოდექსით დასაშვებ ოდენობას, ან/და თუ გარკვეული მიზეზით (საჩუქრის ფოსტით მიღება, საჩუქრის საჯაროდ გადაცემა) შეუძლებელი იყო მის მიღებაზე უარის თქმა, იგი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში აუდიტორს წარუდგინოს ინფორმაცია მიღებული საჩუქრის დასახელების, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულების/ოდენობის და მჩუქებლის ვინაობის შესახებ, ხოლო ამ კოდექსით განსაზღვრული აკრძალული საჩუქარი გადასცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 28. მხილება

1. მხილება შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად, ტელეფონით.

2. თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი პირი ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.
3. პირის მიერ მე-15-24-ე მუხლების მოთხოვნების ბრალეული დარღვევა, თუ ის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სააგენტოს შინაგანაწესით და ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 29. მამხილებლის შეზღუდვის დაუშვებლობა

1. დაუშვებელია მამხილებლის ან მისი ახლო ნათესავის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილების ფაქტთან დაკავშირებით.

2. დაუშვებელია მამხილებლის მიმართ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე მის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

მუხლი 30. მხილების შესახებ განცხადების განხილვის წესი

1. უფლებამოსილი პირი მხილების განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში, წინამდებარე ქცევის კოდექსითა და სააგენტოს შინაგანაწესით დადგენილი წესით. ხოლო შესაბამისი წესების არ არსებობის შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ მხილების განცხადების განხილვის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ჩადენილი დარღვევა შესაძლებელია გახდეს მხილებულისთვის ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, განცხადების განმხილველი ვალდებულია მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

მუხლი 31. სააგენტოს თავმჯდომარის, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილისა და აუდიტორის მიმართ არსებული მხილების განცხადება

1. თუ მხილების განცხადება მიმართულია აუდიტორის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს სააგენტოს თავმჯდომარეს.

2. თუ მხილების განცხადება მიმართულია სააგენტოს თავმჯდომარის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს.

3. თუ მხილების განცხადება მიმართულია სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს სააგენტოს აუდიტორს.

მუხლი 32. მხილების განცხადების განხილვის დაუშვებლობა

დაუშვებელია, პირმა განიხილოს მხილების განცხადება, თუ ეს განცხადება მიმართულია მის წინააღმდეგ, ან ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

მუხლი 33. განცხადების განხილვაში მხილებულის მონაწილეობა

მხილებულს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების და არსებული მტკიცებულებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მხილებას მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მხილებულის პოზიცია უნდა აისახოს საბოლოო გადაწყვეტილებაში.

მუხლი 34. გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების განმხილველის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს და უნდა შეიცავდეს:
ა) მხილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების ჩამონათვალსა და აღწერას;
გ) მხილებულის პოზიციას;
დ) გადაწყვეტილების დასაბუთებას.

2. დაუშვებელია, გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებას, ფაქტს, მტკიცებულებას ან არგუმენტს, რომელიც მხილების განცხადების განხილვის პროცესში სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა.

3. გადაწყვეტილება მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში გაგეზავნებათ მხილებულსა და მამხილებელს.

4. მხილების განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, აღსრულებისა და გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

მუხლი 35. ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

1. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ვალდებულია:

ა) წინამდებარე კოდექსი გააცნოს თანამშრომლებს;

ბ) რეგულარულად ორგანიზება გაუწიოს საინფორმაციო და სასწავლო სესიებს ქცევის კოდექსის, ეთიკისა და შესაბამისობის შესახებ.

2. აუდიტორი ვალდებულია:

ა) უპასუხოს თანამშრომლების კითხვებს ან ეჭვებს ქცევის კოდექსთან ან სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს მათ რჩევას, აზრს ან დამტკიცებას;

ბ) ჩაატაროს კონტროლი კოდექსის სწორი გამოყენების დასადასტურებლად;

გ) რეგულარულად წარუდგენოს ანგარიში უფლებამოსილ პირს კოდექსის სათანადო გამოყენებისა და თანამშრომლების მიერ მიერ მისი პრინციპების დაცვის შესახებ.

მუხლი 36. დასკვნითი დებულებები

1. ქცევის კოდექსი ძალაში შედის მისი თავმჯდომარის მიერ ბრძანებით დამტკიცებისთანავე.

2. ადმინისტრაციული დეპარტამენტი ვალდებულია, სამსახურში მიღებისას თანამშრომელს გააცნოს ქცევის კოდექსი. ხელმოწერა ქცევის კოდექსის გაცნობის თაობაზე თან ერთვის თანამშრომლის პირად საქმეს.

3. ქცევის კოდექსის ასლზე ხელი მიუწვდება ყველა თანამშრომელს.

4. საჭიროების შემთხვევაში, წინმდებარე კოდექსი გადაიხედება და ცვლილება შევა მისი მიღების წესის შესაბამისად.

5. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ნებისმიერ პირს აძლევს უფლებას მიმართოს განცხადების განმხილველ ორგანოს (შესაბამისი საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი), გამომძიებლს, პროკურორს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს და მიაწოდოს ინფორმაცია საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. მხილებად ჩაითვლება აგრეთვე მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.